საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/958
16/02/2023

958-21-2-202302161050

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №413 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქოლუბანში მდ. ცხენისწყლის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი უბნის დეტალური ჰიდროლოგიური ანგარიში დასაბუთებული დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეებით. ამასთან, განცხადება უნდა მოიცავდეს დატბორვის დონეების განსაზღვრის ჰიდრავლიკურ ნაწილს;
- სკრინინგის განცხადებაში ჰიდრავლიკური ანგარიშის ყველა სიდიდე წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებული რიცხვითი მნიშვნელობით;
- განცხადებაში წარმოდგენილი ქვანაყარი ბერმის ფრაქციული შემადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის ნორმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო